CPV 15500000

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №3/47
(საქონლის შესყიდვაზე გამარტივებული საშუალებით)

ქ. თბილისი 27 აპრილი 2012წ.

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი კანცლერის, ზურაბ ორჯონიკიძის სახით (შემდგომში წოდებული "შემსყიდველად") და მეორეს მხრივ ი/მ ხათუნა შარაძე (შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად"), ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსყიდველი უკვეთავს, ხოლო მიმწოდებელი უზრუნველყოფს დანართში (დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) მოცემული საქონლის მოწოდებას.

2. საქონლის მიწოდების წესი და ღირებულება

2.1. მისაწოდებელი საქონლის ერთეულის ფასი მოცემულია დანართში.
2.2. მიწოდების ვადაა 3 სამუშაო დღე მოცემული ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.
2.3. ხელშეკრულების ფასი შეადგენს 106,50 (ასექვსი ლარი და 50 თეთრი) ლარს.
2.4. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა.
2.5. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1 საქონლის გადაცემა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც თან უნდა ახლდეს ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადები.

4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, საქონლის მიწოდების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.
4.2 ანგარიშსწორების განხორციელებისთვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადები. ასევე უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი.
4.3 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.
5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:
5.2.1 დროულად უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.
5.2.2 უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია:
5.3.1 პასუხი აგოს მიწოდებული საქონლის ხარისხზე.
5.3.2 გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
5.3.3 უზრუნველყოს საქონლის მიწოდება დადგენილი პირობების შესაბამისად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0,1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0,1%-ის ოდენობით.
6.3. საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდეგრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე კონტროლს განახორციელებს თსსუ-ის ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი.

10. დამატებითი პირობები

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 7 მაისის ჩათვლით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.

10.4. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. დავათა განხილვის წესი

11.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ი/მ ხათუნა შარაძე
ასათიანის 7	ვაჟა ფშაველას 34
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703	საიდენტიფიკაციო ნომერი 61001005758
თი ბი სი ბანკი TBCBGE22	პროკრედიტ ბანკის ცენტრალური ფილიალი
ა/ა GE34 TB11 0000 0000 609 229	ა/ა 601468231 კოდი 220101922

თსსუ-ს კანცლერი
ზურაბ ორჯონიკიძე

ი/მ
ხათუნა შარაძე

დანართი

№	დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	ერთ. ფასი (ლარი)	მთლიანი ღირებულება (ლარი)
1	შესქელებული რძე 8,5%	ცალი	10	2,50	25,00
2	ყველი (ბაირლანდი ედამი გაუდა)	კგ	1,35	22,00	29,70
3	რძე 3,2% 1ლ	ცალი	2	2,65	5,30
4	რძის ფხვნილი	ცალი	10	4,65	46,50
					106,50

თსსუ-ს კანცლერი
ზურაბ ორჯონიკიძე

ი/მ
ხათუნა შარაძე